შპს უნივერსალ ინტრალოჯისტიკს

2020წლის ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....2
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....2
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 3

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია..... 3
2.ფუნქციონირებადი საწარმო.....3
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....4

5. პირობითი ვალდებულებები.....5

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2020**	**31/12/2019**	**31/12/2018**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	817098	979300	975681
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	181235	43694	241208
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	83887	204482	67649
მარაგები	864600	852054	638413
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	864600	852054	638413
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0

თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	6665	7841	9225
ძირითადი საშუალებები	1369431	1018077	660527
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	108058
სულ აქტივები	3322916	3105448	2700761
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	21554	0
სავაჭრო ვალდებულებები	10487	64115	0
ანარიცხები	0	0	70404
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	10429	15375
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	21848	848
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	59621	21481	21481
სულ ვალდებულებები	70108	139427	108108
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კა	85566	85566	85566
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3167242	2880455	2507087
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3252808	2966021	2592653
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3322916	3105448	2700761

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2020**	**31/12/2019**
ნეტო ამონაგები	2200730	2578653
საქონლის გაყიდვიდან	1810041	1941384
მომსახურების გაწევიდან	390689	637242
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	27
გაყიდვების თვითღირებულება	-1039722	-1225954
საწყისი მარაგები	0	638413
მარაგების შესყიდვა	0	1469751
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1161008	1352699
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10971	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-371806	-408812
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-198558	-131754
საპროცენტო შემოსავალი	9421	12668
საპროცენტო ხარჯი	-1464	-3783
იჯარის ხარჯი	-69807	-72480
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-118569	-208687
სულ საოპერაციო ხარჯები	-739812	-812848
საოპერაციო მოგება	421196	539851
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახს	122312	18395
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-27039	24698
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	516469	582944
მოგების გადასახადის ხარჯი	-7236	-6548
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	509233	576396
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასე	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	509233	576396
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2966021	2592653
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-222446	-203028
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3252808	2966021

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2020**	**31/12/2019**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმ	52134	457074
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულ	-336649	-271574
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდ	0	-189890
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-284515	-4390
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	122313	8009
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	979300	975681
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	817098	979300

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „უნივერსალ ინტრალოჯისტიკს“(205159718) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ 2006წლიდან მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა .

სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და ლიზინგი, საბითუმო ვაჭრობა სხვა მანქანებით და მოწყობილობებით.

კომპანიის გენერალური დირექტორია კობა წაქაძე (01024004064) მარეგისტრირებელი ორგანოა თბილისის საგადასახადო ინსპექცია .

მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ქ#1.

2.ფუნქციონიტებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით,რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

3.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული
მცირე და საშუალო საწარმოთა
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს)-ის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია
ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31დეკემბრის ჩათვლით.

3.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული.

3,3 შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც
კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში,
რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და მოქმედი ვალუტაა

3.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.
ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით.
თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ
დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.
შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება,
როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული
ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი
ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება
ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.
ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და
გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება წრფივი მეთოდით.
აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან,
და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

3.5არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას,

თუ დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში. აქტივთან ამორტიზაციის ხდება ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდით .განიკვეთის ნორმა15% ან მაგ ლიცენზიის შემთხვევაში - მოხმარების ვადის არსებობის შემთხვევაში წრფივი მეთოდით

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება

შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური

აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური

ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი

ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის

გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები

ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული

ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით),

იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს .საწარმო

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების,

რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების

ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში/ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე

წარმოქმნილი ვალები და არ გულისხომბს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო

განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

3.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან

საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული

ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

3.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

3.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.
თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.
მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.
საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.10 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა
საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა
მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის სარგებლის შემოსვლა საწარმოში.
საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური ეფექტის მიღება.

3.11 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.12 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე
მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს
აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ
აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო
ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში,
ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც
დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში/ზარალში.

5.პირობითი ვალდებულებები

2020წ31 დეკემბრისათვის საწარმოს არ ქონია არსებითი სასამართლო დავა და არც არანაირი ანარიცხი არ აქვს სასამართლო დავებთან დაკავშირებით.